ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა

შესავალი

წინამდებარე ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ სტრატეგიული განვითარების გეგმა (შემდგომში - გეგმა) მომზადებულია ა(ა)იპ „საქართველოს მთამსვლელთა გაერთიანებული ფედერაციის“ (ს/ნ 402003309) (შემდგომში - ფედერაცია) წესდების შესაბამისად და დამტკიცებულია ფედერაციის გამგეობის მიერ 2024 წლის ----------.

გეგმა წარმოადგნეს საქართველოში ალპინიზმის განვითარების ძირითად გრძელვადიან სტრატეგიას და ის შეიძლება დრო და დრო მოდიფიცირდეს ახალი გამოწვევების შესაბამისად. სტრატეგია სრულად ეყრდნობა ფედერაციის წესდებას და ცოცვისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციის (UIAA) პრინციპებს.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულება გათვალისწინებულია 2024-2027 წლებში.

ფედერაციის მისია

ფედერაციის უმთავრეს მისიას და შესაბამისად, პრიორიტეტს წარმოადგენს საქართველოში მთამსვლელეობის (ალპინიზმის) განვითარება. მთამსვლელობის განვითარება მოიცავს ყველა კვალიფიკაციის მოქმედ ვაჟ და ქალ მთამსვლელთა რაოდენობის და კვალიფიკაციის ზრდას, ალპინიზმის პოპულარიზაციას, მისი ცნობადობის ამაღლებას, მეტი ადამიანის დაინტერესებას, ახალგაზრდების ალპინიზმში მოზიდვას და დაინტერესებული პირებისათვის შემდეგომი განვითარების მხარდაჭერას, ასევე, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობას.

ფედერაციის ღირებულებებს წარმოადგენს:

- ღირსება;
- პატიოსნება/პატივისცემა;
- კარგი მმართველობა (გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება);
- ობიექტურობა/მიუკერძოებლობა/ინტერესთა კონფლიქტისთვის თავის არიდება;
- სამართლიანობა;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი;
- კონფიდენციალურობა;
- თავისუფლება;
- ინდივიდუალობა;
- პირადი პასუხისმგებლობა;
- რისკის ინფორმირებულობა;
- უსაფრთხო პრაქტიკა;
- ნებისყოფა;
- მდგრადობა;
- სანდოობა;
- სოლიდარობა;
- თანამშრომლობა;

- საერთო მიზნები;
- ჯანსაღი ცხოვრება.

ფედერაცია სრულად იზიარებს ცოცვისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციის (UIAA) ძირითად ღირებულებებსა და პრინციპებს.

სტრატეგია

ფედერაციიის მისიით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებისათვის ფედერაცია ხელმძღვანელობს შემდეგი სტრატეგიით:

1. მასობრივი ალპინიზმის განვითარება

კვალიფიციური მთამსვლელების რაოდენობის ზრდა შეუძლებელია მასობრივი ალპინიზმის განვითარების გარეშე. მასობრივი ალპინიზმი, ე.წ. ალპინიადები, ყოველთვის იყო ახალგაზრა თაობის მთამსვლელობაში მოზიდვისა და განვითარების ძირითადი საშუალება. ალპინიზმი, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის სპორტულ აქტივობას. ბუნებასთან სიახლოვის, განსაკუთრებული კლიმატური პირობების, რთულ რელიეფზე გადაადგილების და სხვა მრავალ მიზეზთა გამო, ალპინიზმი მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას უსაფრთხოების მხრივ და განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებას. აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ფედერაციის მიზანია მაქსიმალური პირობების შექმნა, რათა ალპინიზმში მოზიდულ იყვნენ დიდი რაოდენობის ახალგაზრდები, რომელთაც, მათი შემდგომი პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, ექნებათ შესაბამისი მხარდაჭერა. შედეგად, ქვეყანაში გაიზრდება მაღალკვალიფიციური ალპინისტების რაოდენობა.

2. სპორტული მიღწევები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ალპინიზმი არ წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის სპორტის სახეობას, რომელშიც სპორტსმენთა მთავარი მიზანი სხვა სპორტსმენებთან კონკურენციაში უმაღლესი სპორტული შედეგების მიღწევაა, რაც გამოხატება ადგილობრივ თუ საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში სპორტული შედეგების მიღწევით.

ალპინიზმი წარმოადგენს ჭიდილს უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავთან და ბუნებასთან.

ალპინიზმში გამოიყენება ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე სპორტული მიღწევების და სპოტსმენის განვითარების ისეთი საზომები, როგორიც არის საყოველთაოდ ცნობილ, უკვე გავლილ და კლასიფიცირებულ მარშრუტებზე ასვლების განხორციელება, ასვლების განხორციელბა განხვავებულ პირობებში (ჟანგბადის გამოყენების გარეშე ასვლა, ზამთრის ასვლა, სოლო ასვლა და სხვა.), ახალი მარშრუტების გავლა და კლასიფიკაცია, ასვლები ინოვაციური სახის აღჭურვილობის გამოყენებით და სხვა., რაც იწვევს შესაბამის აღიარებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე.

3. უსაფრთხო ალპინიზმი

ფედერაციის უმთავრესი მიზანია მთამსვლელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსფრთხო გარემოს შექმნაა.

ალპინიზმი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, დაკავშირებულია ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ პირობებში მოქმედებასთან. მკაცრი ბუნებრივი და კლიმატური პირობები, სიმაღლე, სამედიცინო დახმარების მყისიერი მიღების შეუძლებლობა, სამაშველო ოპერაციების განხორციელების სირთულე, სპეციფიკური ჯანმრთლეობა და სხვა მრავალი ფაქტორი, განაპირობებს ალპინიზმში უსაფრთხოების ღონისძიებების გატარების უპრეცენდენტო მნიშვნელობას. ფედერაციის მისიაა მაქსიმალურად უზრუნველყოს უსაფრთხოების ყველა ზომის გატარება, როგორც ექსპედიციის მომზადების, ასევე, შემლებისდაგვარად მისი მსვლელობის დროს.

უმნიშვნელოვანესია შეიქმნას კრიტერიუმები, რის საფუძველზეც განხორციელდება ალპინისტური ექსპედიციის უსაფრთხო დაგეგმვა და განხორციელება.

საჭიროა ალპინისტების, მთამსვლელთა ჯგუფებისათვის იმ კრიტერიუმის დაწესება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ობიექტურად შეფასდეს ყოველი მთამსვლელის ან ჯგუფის შესაბამისობა კონკრეტული სირთულის მარშრუტის გავლასთან. ეს მოიცავს მთამსვლელთა კვალიფიკაციას, ადრე განხორციელებული ასვლების სირთულეს, დროის პერიოდს ასვლებს შორის, პირველადი დახმარების გაწევისათვის მზადყოფნას, სამაშველო სამსახურების ხელმისაწვდომობას, სხვა მრავალ ობიექტურ თუ სუბიეტურ ფაქტორს.

4. მომიჯნავე სახეობები

ფედერაცია თანამშრომლობს და შესაძლებლობის ფარგლებში ხელს უწყობს ისეთი სახეობების განვითარებას, რომელიც მჭიდრო კავშირშია მთამსვლელობასთან.

კლდეზე ცოცვა, სკი მაუნთერინგი, სამთო ტურიზმი და სხვა სახეობები, ხშირად წარმოადგენს საფუძველს ალპინისტის განვითარებისათვის. უამრავი მაგალითია იმისა, თუ რამდენი კლდეზე მცოცავი ეზიარა მთამსვლელობას. გარდა აღნიშნულისა, კლდეზე ცოცვა, სკი მაუნთერინგი, სამთო ტურიზმი და სხვა სახეობები, ალპინისტის ფიზიკური მომზადების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს ხსენებული სახეობების განვითარებას და შესაბამის ფედერაციებთან თანამშრომლობას.

5. ცოცვისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ორგანიზაციის (UIAA) წევრობა და თანამშრომლობა

ფედერაცია წარმოადგენს საქართველოში დარგში სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ექსკლუზიურ ორგანიზაციას. ფედერაციის მიზანია გახდეს დარგში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და დაიკავოს ღირსეული ადგილი სხვა წევრებს შორის. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ფედერაციის მიზანია გაერთიანდეს ცოცვისა და მთამსვლელობის საერთაშორისო ფედერაციაში (UIAA) და ფომალურადაც გახდეს გლობალური ალპინიზმის საერთაშორისო ოჯახის წევრი. ფედერაცია ამყარებს კავშირებს და თანამშრომლობს სხვა ქვეყნების შესაბამის ფედერაციებთან.

6. პროცედურების შემოღება

ფედერაცია წარმოადგენს ალპინიზმის განვითარებაში და მთლიანად სფეროში ექსკლუზიური უფლებების მქონე ორგანიზაციას საქართველოში. მისი სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის აუცილებელია

მაქსიმალურად ნათელი შიდაკორპორატიული ლეგიტიმაციის მქონე პროცედურების შექმნა და დანერგვა. ფედერაციის უმთავრესი დოკუმენტია წესდება. ფედერაცია საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და კურატორი სახელმწიფო ორგანოს (საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო) მითითებების საფუძველზე. გარდა აღნიშნულისა, ფედერაციის ყოველდღიური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი დოკუმენტების დამტკიცება, როგორიც არის სამოქმედო გეგმა, ექსპედიციების ჩატარების წესი, სპორტული წოდებების მინიჭების წესი, ნაკრების დაკომპლექტების წესი და სხვა დოკუმენტები. ფედერაციის ამოცანაა შეიქმნას აღნიშნული და სხვა დოკუმენტები, რათა მისი საქმიანობა იყოს მაქსიმალურად მოქნილი და რაც მთავრია, სამართლიანი და გამჭვირვალე.

7. სახელმწიფოსთან ურთიერთობა

ფედერაციის მთავარი დამფინანსებელია სახელმწიფო. დღიდან მისი დაფუძნებისა, ფედერაციის ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო დაფინანსების გარეშე. სულ მცირე უახლოეს მომავალში ფედერაცია მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს მეტ-ნაკლებად წარმატებული აქტივობები სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების გარეშე.

ფედერაციის ამოცანაა მაქსიმალურად გააფართოვოს სახელმწიფოსთან თანამშრომლობა, რისთვისაც აუცილებელია ყველა დადგენილი იურიდიული და ფინანსური მოთხოვნის ზედმიწევნით შესრულება, მიღებული თანხების მაქსიმალურად ათვისება (მიზნობრივად), სპორტული შედეგების მიღწევა.

ფედერეცია ღიაა თანამშრომლობისათვის ყველა სახელმწიფო სტრუქტურასთან, მათ შორის შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიციასთან (სასაზღვრო ზონაში გადაადგილებასთან დაკავშირებით), საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

8. ინფორმაციის ღიაობა და ხელმისაწვდომობა.

ფედერაცია ამოცანაა ყველა შესაძლო საშუალებით ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია სამთო მარშრუტების და განხორციელებული ასვლების შესახებ. აღნიშნულის მიზანია ხელი შეუწყოს ქართველ და უცხოელ მთამსვლელებს მათი კვალიფიკაციის შესაბამისი ასვლების განხორციელებაში.

9. ანტისადოპინგო კამპანია

ფედერაციის მიზანია მიიღოს და ახორციელებდეს მსოფლიო ანტიდოპინგური კოდექსის (WADA) პროგრამას მთლიანად და მისი მიზანია უზრუნველყოს, რომ მისი ყველა წევრი ასოციაცია და სპორტსმენი პატივს სცემდეს და შეესაბამებოდეს კოდექსის მოთხოვნებს, ყველა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტს და კოდექსის ყველა პრინციპს.

10. სტუდენტური ალპინიზმის განვითარება

ისტორიულად, საქართველოში ალპინიზმის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს სტუდენტური ალპინიზმი. სტუდენტების მთამსვლელობაში ჩართვისთვის უნდა გააქტიურდეს თანამშრომლობა სახელმწიფო თუ კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან. უნდა დამყარდეს კონტაქტები უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელ პირებთან, ჩატარდეს შეხვედრები და ჩამოყალიბდეს

პარტნიორული ურთიერთობები, რათა უმაღლესმა სასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სტუდენტებში ალპინიზმის პოპულარიაზიას, შეიქმნას ალპინიზმის წრეები, სტუდენტებს მიეწოდოთ მეტი ინფომრმაცია ქართული ალპინიზმში ჩართვის შესაძლებობების შესახებ.

11. რეგიონებში პუპულარიზაცია და ხელშეწყობა

უმნიშვნელოვანესია საქართველოს რეგიონებში უკვე არსებული ალპინისტური ორგანიზაციების ხელშეწყობა მათი გაძლიერების თვალსაზრისით. ორგანიზაციების წევრებს ფედერაციის ხელშეწყობით უნდა მიეცეთ დამოუკიდებელი ალპინისტური ექსპედიციების განხორციელების მეტი შესაძლებლობა. ამასთან, უფრო მაღალი კლასიფიკაციის ასვლების განსახორციელებლად საჭიროა მათი ხელშეწყობა, როგორც ფინანსურად, ისე კვალიფიციური ინსტრუქტორებით უზრუნველყოფის მხრივ. მნიშვნელოვანია მოხდეს ერთობლივი ექსპედიციების ორგანიზება.

აუცილებლობას წარმოადგენს საქართველოში ალპინიზმის ტრადიციულ რეგიონებში ალპინისტური ორგანიზაციების (კლუბები) შექმნის ხელშეწყობა. ამისათვის, მუშაობა უნდა გაძლიერდეს ადგილობრივ მთამსვლელებთან, მათი ინიციატივით და ჩართულობით უნდა მოხდეს კლუბების დაფუძნება, რაც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას ჩაერთოს ალპინიზმში.

12. მარკეტინგი

ალპინიზმის პუპულარიზაციის, ამ სპორტში მეტი ადამინის ჩართვისთვის, ასევე, სპონსორების მოზიდვის მიზნით, უმნიშვნელოვანესია გააქტიურდეს ფედერაციის პიარ-მარკეტინგული აქტივობები, შეიქმნას და იფუნქციონიროს ორგანიზაციის ვებგვერდმა, გააქტიურდეს მისი სოციალური აქტივობა პოპულარულ სოციალურ ქსელებში და აქტიურად განხორციელდეს სხვა მარკეტინგული ღონისძიებები.

13. სპონსორები

როგორც ცნობილია, ფედერაცია თითქმის მთლიანად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც დაკავშირებულია სტანდარტულ ბიუროკრატიულ პროცესებთან. აღნიშნული გარემოება დაუგეგმავი ღონისძიებების განხორციელების, ასევე, დაგეგმილ ღონისძიებებში ცვლილებების შეტანისა თუ ფედერაციის სხვა აქტივობების განხორციელებისათვის შეიძლება იქცეს დამაბრკოლებელ გარემოებად. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა სპონსორების მოზიდვის მიმართულებით, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ფედერაციის მარკეტინგის განვითარებასთან. სპონსორებისგან შემოსული ფინანსური თუ სხვა სახის რესუსით, ფედერაციას ექნება არა მხოლოდ დამატებითი შემოსავალი, არამედ, მეტი თავისუფლება დაუბრკოლებლად იმოქმედოს მისი მიზნების განხორციელებისათვის.

14. ვეტერანების ჩართულობა

ფედერაციამ უნდა გამოიყენოს ვეტერანი მთამსვლელების გამოცდილება და რეკომენდაციები სამომავლო საქმიანობაში. პატივისცემით და დაფასებით მოეკიდოს მათ წვლილს ქართული ალპინიზმის განვითარებაში, რაც ასევე იქნება სტიმული მომავალი თაობებისათვის.

15. სპორტული რეგულაციების შემოღება-დანერგვა

აუცილებელია ნორმატიურლ დონეზე შემუშავებულ იქნას ფედერაციის შიდა რეგულაციები, ისეთი, როგორიც არის: სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის წესი, აღჭურვილობის გატანა-დაბრუნების წესი, ინსტრუქტორთა შერჩევის წესი, ეროვნული ნაკრების ფორმირების კრიტერიუმები, მთაში სიარული წესები და სხვა. ასევე, მნიშვნელოვანია შეიქმნას ფედერაციის წევრთა რეესტრი და სპორტსმენთა რეესტრი. აღნიშნული რეგულაციების დანერგვა და სტანდარტიზაცია ფედერაციის ფუნქციონირებას გახდის უფრო მარტივს, ობიექტურს, სანდოს და დემოკრატიულს.

16. სტრუქტურის გაძლიერება

ფედერაცია აგრძელებს მუშაობას სტრუქტურის გაძლიერებისა და დახვეწისათვის, რაც ფედერაციის წევრთა და დაფინანსების ზრდის შესაბამისად, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. აუცილებელია ფედერაციის მუშაობის მიმართულებების კონკრეტული პასუხსმგებელი პირების განსაზღვრა. აღნიშული ფედერაციის მუშაობას გახდის უფრო ეფექტურს, ასევე, უფრო სანდოს და გამჭვირვალეს.

17. ექსპედიციების მოწყობის გამარტივება

მთამსვლელთა რაოდენობისა და ალპინისტური ექსედიციებისა და ასვლების განხორციელების მატებასთან ერთად, დღის წესრიგში დგება ექსპედიციებისა მოწყობის ორგანიზაციულ საკითხებზე მუშაობის პროცესის გამარტივების საკითხი. ამისათვის საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ფედერაციის პარტნიორებთან (ტრანსპორტირების, კვების, დაზღვევის და სხვა მომსახურებების მიმწოდებლებთან) მომსახურების მიწოდების მარტივ, ავტომატურ და სტანდარტულ რეჟიმში მოქცევისათვის. ამ მიმართულებით საჭიროა შეიქმნას კონკურენტული გარემო.

18. ალპინისტებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, დასაქმება

მთამსვლელობაში მეტი ადამინის მოზიდვა არ არის ფედერაციის ერთადერთი მისია. აუცილებელია მთამსვლელებისათვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ მაქსიმალურად დიდხანს დარჩნენ ალპინიზმში. ფედერაციის პრიორიტეტია მოხდეს ასეთი პირების დასაქმება ფედერაციის ალპინიზმის სკოლაში, ფედერაციის სხვა და სხვა ღონისძიებებში ინსტრუქტორებად, მოხდეს მათი სამთო გიდებად დასაქმებაში, ასევე, სახელმწიფო სტიპენდიების მიღებაში ხელშეწყობა და ა.შ.

19. თანამშრომლობა უცხოურ ფედერაციებთან / უცხოელ მთამსვლელებთან

ფედერაცია ამყარებს კავშირებს და თანამშრომლობას უცხოურ ალპინისტურ ფედერაციებთან და უცხოელ მთამსვლელებთან, რაც მეტად გაზრდის ქართული ალპინიზმის ცნობადობას, გაუმარტივებს თანამშორმლობას და ერთობლივი ექსპედიცების დაგეგმვას ქართველ მთამსველებს.

20. მთამსვლელთა რეესტრი

აუცილებელია მოხდეს ქართველ მთამსვლელთა ბაზის/რეესტრის შექმნა და სისტემატიზაცია, განხორციელდეს მათ მიერ განხორციელებული ასვლების აღრიცხვა. სასურველია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მთამსვლელობის თანამედროვე ისტორიის შენახვას, არამედ, გაამარტივებს მთამსვლელთა შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესს და უფრო გამჭვირვალეს გახდის სპორტსმენთა ნაკრებისათვის თუ კონკრეტული საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებებისთვის შერჩევის პროცესს.

21. ალპინიზმის სკოლის დაარსება

ალპინიზმის სკოლის დაარსება წარმოადგენს ფედერაციის პრიორიტეტს და უმთავრეს ამოცანას.

ფედერაციის სტრუქტურაში შეიქმნება სტანდარტიზირებული მეთოდიკის ალპინისტების მომზადების პროგრამა. სკოლა ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, და მისი მიზანი იქნება საქართველოში მთამსვლელთა ახალი თაობების აღზრდა და მომზადება.